

# შინაური საქმეები

№ 33.

კვირა, ნოემბერი 29, 1909 წ.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეკით.

აღრმისი: მუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაური: მუთაისი, 29 ნოემბერი; ღირსი მამიდაშვილს „მცირე შენიშენის გამო“ — რამბოლასი; გარდამოსნა იესო ქრისტესი (გაგრძელება) — ოლეა ჯიბადარი; თ. ქაიხოსრო გელოვანს (ლექსი) — რ. საჯავახოვლისა; შესაძლებელია, რომ თანამედროვე განათლების მოაზრე კაცს სწამდეს ღვთაება იესო ქრისტესი? რას ამოტყვის შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ — ონოფრე მჭირისა; ჩვენი მიწა-წყლის გაყიდვის გამო — დიმიტრას მამიდაშვილისა; კვირიდამ კვირობამდე; პროვინცია.

ყოველკვირეული გაზეთი

**„შინაურ საქმეებს“**

ხელას მოწყობა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკუთის შესახვევში № 17) და სკეზარქით სპეციალურად.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ლეზულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ღირსი. № 1 ახალი ხელის მომწ. დავთ. 1 მ. და 50 კ.

ქუთაისი, 29 ნოემბერი.

როგორც გავივით, კანტორას არ შეუწყნარებია იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ძმობას ნება ჰქონოდა დაებეჭდა და გამოეცა კურთხევანი. საქმე იმაშია, რომ დღეს ჩვენ ეკლესიებს წიგნების ნაკლულე-ვანება ეტყობა და არაფერი არის მიმწვდენი. თქმა არ უნდა რომ ამაზე კანტორა უნდა ზრუნავდეს, როგორც ადგილობრივი უმაღლესი სასულიერო დაწესებულება. სამღვდლოება რომ უზრუნველ-ყოფილი არაა, ეკლესიები რომ ჩამოფხრეწილი გვაქვს, სარწმუნოება რომ ხელიდან

გვეცლება, ამაზე თუ გინდ ნურას იტყვის ნურაფერი. მაგრამ სანამ ხალხში კიდევ ჩვეულებასავით არის დარჩენილი მღვდელ-მოქმედება, კურთხევანი მაინც აუცილებელია და რა გასამართლებელი საბუთი აქვს ვინმეს, რომ ამ წიგნის ბეჭედა აღკრძალოს? მაგრამ შეიძლება ვინმემ სთქვას, საეკლესიო წიგნების ბეჭედის საქმე ყველას არ მიენდობა, ამას ისეთი დაწესებულება უნდა ბეჭდავდეს, რომელიც დაინტერესებულია საეკლესიო და სარწმუნოებრივ საქმეებში. თანახმა ვართ და ასეთ დაწესებულებათ მიგვაჩნია სწორეთ ის დაწესებულება, რომელმაც ითხოვა ამ წიგნის დაბეჭდა და რომელსაც იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელი „ძმობა“ ეწოდება. ამ „ძმობას“ საგნად აქვს დადებული ხელი შეუწყოს სარწმუნოების საქმეს, ბეჭდოს საეკლესიო და სამღვთისმეტყველო წიგნები, რაისათვისაც მან ღვთის შეწევნით და კეთილი ადამიანების დახმარებით მოიპოვა საკუთარი სტამბა და მზათაა ემსახუროს ყოველივე სამღვთო დაწესებულებას. ეს სტამბა სავსებით საზოგადოებას ეკუთვნის და მისი წმინდა შემოსავალი ისევ სარწმუნოების საქმეს ეხმარება. აქედან სჩანს, რომ „ძმობა“ ვინგინდარა ვინმე არ არის, რომ მას არ მიენდოს საეკლესიო

სიო წიგნების ბეჭდვა. წინააღმდეგ ეს ერთად ერთი დაწესებულება არის, რომელსაც მხოლოდ შეუძლია სათავეში ჩაუდგეს საეკლესიო საქმეებს, და საგრძნობელ სარგებლობასაც მოუტანს მას თუ ნაცვლად დახმარებისა ხელს არ შეშლიან. არა თუ საეკლესიო წიგნები, საეკლესიო საბუთებიც და სხვა ბლანკები და ქაღალდები რომლებიც კი საქირო არიან საკლესიო მართვა გამგეობაში აქ, ამ „ძმობის“ სტამბაში უნდა იბეჭდებოდნენ, რომ მას შეძლება მიეცეს, ფართოდ მოფინოს თავის განმანათლებელი ძალები საქართველოს ეკლესიის ჩამომხრებულ პორიზონტს.

საეკლესიო წიგნების ბეჭდვა მით უფრო ადვილად მიენდობა „ძმობას“, რომ იგი („ძმობა“). არ სდგას განმარტებით საეპარქიო მართველობასთან, არამედ პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მასთან და ექვემდებარება მას. მთელი სამღვდელთა საქართველოს ეკლესიისა და მათი მღვდელთ მთავრები, რომლებსაც მშობელი ეკლესიის ბედობა აფიქრებთ, უნდა ეცადონ ხელი შეუწყონ „ძმობის“ მიზნების განხორციელებას, უნდა ეცადონ დახმარება აღმოუჩინონ მის სტამბას, რომ საშუალება მისცენ ფართო კეთილმოღვაწეობისათვის.

ასეთ საშუალებათ გადიქცევა ერთი მხრით საეკლესიო წიგნების ბეჭდვა და მეორეს მხრით საქირო ბლანკების და ქაღალდებისა. საქართველოს სინოდის კანტორაც ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ერთად ერთ საღვთო დაწესებულებას მთელ საქსარხოსოში, დაწესებულებას, რომელიც სარწმუნოების, მართლ-მადიდებლობის გაღორძინებას ესწრაფება და განზე უდგია ყოველ-გვარ პოლიტიკანობას. კანტორა არ შეცდებოდეს, რომ „ძმობის“ შუამდგომლობა დაეკმაყოფილებიან; იგი სწორედ თავის მოვალეობას შეასრულებდა საქართვე-

ლოს ეკლესიის წინაშე. და თუ მაინც და მაინც წიგნის დამახინჯების ეშინოდა შეეძლო თავის ცენზორი და კარრეტორი დაენიშნა. ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს, რომ კანტორა ნებას დართავს „ძმობას“, ან უკიდურეს შემთხვევაში თვით მაინც მალე შეუდგება წიგნების ბეჭდვას, რადგან ამას მოითხოვს აუცილებელი საჭიროება.

### დიმიტრის მამილაშვილის

„მცირე შენიშვნის გამო.“

1) დიდ მადლობას ვსწირავთ დიმიტრის მამილაშვილს, რომ შენიშვნები დაგვიწერა. პაზრთა შეხლა-შემოხლას, გაცვლა-გამოცვლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნობის ძიებაში.

2) სწორედ რომ შორეულ საუკუნოების ნაწერები ახლობელ საუკუნოების ნაწერებზე მაღლა უნდა დავაყენოთ. მეათე მეოთხე მეტორმეტე და მეოთხე მეტე საუკუნოები საქართვლოს ისტორიაში ითვლება ოქროს ხანად. მაშინდელნი სიტყვიერებიანი ქმნილებანი შინაარსითაცა და ენითაც გაცილებით სჯობიან მერმინდელ საუკუნოების ნაწარმოებებსა. მეცამეტე საუკუნიდან ლიტერატურა ქვეითდება და რაც მეტი დრო გადის, იმდენად უფრო და უფრო მცირდება. ასე მეცამეტე საუკუნის ხელნაწერებს უფრო მეტის ნდობით უნდა შევხედოთ, ვიდრე მეოთხე მეტე და შემდგის საუკუნოების ნაწერებსა; რაც უფრო ძველია ხელნაწერი, იმდენად მას მეტი ფასი აქვს.

3) დიდა, მარტო სიძველე ხელნაწერისა მის ღირსების თვამდები არაა. აქ საქიროა დახმარება ლოლიკისა და გრამატიკა—სტილისტიკისა.

4) იმას თუ ვუყურებ ჩვენ, თუ როდის ქართველნი მეცნიერნი გვაუწყებენ, თუ ვინ გადასწერა ეს და ეს ხელნაწერი—საეკლესიო წიგნი, ცნობილმა მწიგნობარმა, თუ უბრალო

ვალაშვილმა, მანამდის მეორე მოსვლაც იქნება. ამის გამოკვლევა საზოგადოდ რომ სთქვას კაცმა, არვის არ ძალუძს, რადგან ამისთვის საჭირო ცნობები და ნიშნები არ მოეპოვება.

5) „ხადალ“-ს ჩვენ შეუცდომელ ფორმად კი არ ვსთვლით, არამედ მასზე მხოლოდ ვამბობთ, რომ იგი უფრო გასაგებია. მართლაც „ხადალ“ კაცს ვერ აგებინებს იმას, რომ აქ მოწოდება იგულისხმება; ზოგს თავის ახდა ვგონება, ზოგს მიხლომა—მივარდნა. „ხადალ“-ს კი უფრო ადვილად მიჰყავს კაცი ჰაზრადმდი: მოწოდებად, ხმაზად.

6) ჩვენ სრულიად არ გვითქვამს, რომ „ღვთის მშობელი და მარად-ს ქალწული მარიამი“ არ გამოსთქვამს იმ ჰაზრს, რომ მარიამი შობის დროსაც ქალწული იყო, და ეს გამოიხატება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიტყვი: „ღვთის მშობელი მარადის ქალწული“. არა, ჩვენ ვსთქვით: უმჯობესია. აზრის გამოხატვა შეიძლება ნაკლებს სისწორითაც და მეტის სისწორითაც. „ღვთის მშობელი ქალწული“ უფრო სწორი იქნება.

7) ჩვენ მხოლოდ ვსთქვით, რომ ქართულ ენას არ უნდა შეესაბამებოდეს „და“-ს ხმარება ერთსა და იმავე სიტყვასთან იმისთანა წინადადებებში, როგორც არის: „სულისაცა შენისათანა“ და „რათა ესენიცა ჩვენთანავე აღიდებდნენ“. ჩვენ ვამბობთ, არ უნდა შეესაბამებოდეს, და არა „არ შეესაბამება“. ამას გარდა თქვენ მიერ მოყვანილნი წინადადებანი სულ სხვანაირნი არიან. დაგვისახელოთ მაგალითები ამ წინადადებებისთანა. „რათა ესენიცა ჩვენთანავე აღიდებდნენ“ და „სული-საცა შენისათანა“, რომ მათში „და“ და „ცა“ ერთად იხმარებოდეს, და ჩვენც ვსდუმებთ. „რომ პეტრემაც გაიხაროს, მიეცი მას ეს წიგნი“ და არა „რომ და პეტრემაც გაიხაროს“. ანუ ერთი კაცი ეუბნება მეორეს: გისურვებ ყოველივე კეთილსაო, და მეორე მს უბასუხებს: შენც ღმერთმა მოგცეს ყოველივე კარგიო, და არა „და შენც“.

8) მართალია, ჩვენს საეკლესიო ცხოვრებას ბევრი მოთხოვნილებები აქვს. საჭიროა სარწმუნოების უმთავრეს დოგმების დაცვა

განმტკიცება ხალხში; საჭიროა აგრეთვე შებ-ლალულ წიგნების შესწორება. თქვენ თვითონ ამბობთ: „უფრო მეტად არ შეგიბღალონო“. მაშ წიგნები შებღალოლი ყოფილა, და მათ შესწორება უნდა. და აი ზოგმა დოგმები ამაგროს, ზოგმა საეკლესიო წიგნებში შეპარული შეცდომები ასწოროს, ზოგმა სხვა რამ. საჭიროა შრომის განაწილება.

9) თქვენ იტყვიან: ყველას, ვისაც კი საეკლესიო წიგნების შესწორება საგნად აუღია, ვურჩევთ ან საფუძვლიანად შეისწავლონ სამშობლო ენა, ძველი და ახალი, ან მთლად დაეთხოვონ ამ მძიმე საქმეს! თქვენი სიტყვი-ბიდან კაცი იმასაც გამოიყვანს, რომ ქართველი სამღვდლოება სარწმუნოების დოგმების დასაცვლადაც არ უნდა გამოვიდეს, რადგან იმასში არაა ისეთი პირები, რომლებმაც საფუძვლიანად იცოდნენ, როგორც საერო მეცნიერებაც, ისე ღვთის მეტყველებაც. თქვენ კი სამღვდლოების პირველ საქმედ სთვლით რელიგიის ქრწმარიტებათა დაცვას ან და რაც ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ, მოხედენ“-ს „მოხედეთ“ ვამჯობინოთ, როგორც ეს არის ძველ ხელნაწერებში და ვახტანგის დროს, 1710 წელში გამოცემულ კონდაკში

ავიღოთ თუ გინდ ანტონ ქათალიქოზის ღრამმატიკა და იქ დავინახავთ, რომ ზმნები ბრძანებით ფორმაში „თ“ ღ„იო“ ბოლოვდება და არა „ნ“ითა. რა დიდი მეცნიერება უნდა იმის გაგებას, რომ წინადადებაში: „ღმერთმან ვედრებითა მოციქულისა... გცეს (ვახტანგისაში, მოგცეს, რაც უკეთესია) შენ... აღსრულებად სახარებისა სიყვარელისა ძისა თვისისა უფლისა ჩვენისა იოსე ქრისტესი“ — „ქრისტესი“ უნდა და არა „ქრისტესა“, როგორც ახლა გაიძახიან ვახტანგისაში „ქრისტესი“ სწერია. რომ ეს ასე უნდა იყვეს, ამას უბრალო გრამ-მატიკული გარჩევა ვვაჩვენებს. წიგნის უპირ-ველეს სიტყვებს: „სვით ამისგან ყოველთა“ მღვდელი ხალხისთვის ვაუფებრად ამბობს, გაიძახის. „სუთ“. ჯერ ერთი რომ რეალური სიკეთე, სარგებლობა მოითხოვს, სთქვან „სვით“, რათა ყველამ გაიგოს სიტყვის მნიშ-

ვნელობა; და თუ ეს არ უნდათ, რისთვის არ გამოთქმენ „სუთ“-ს ისე, როგორც ამას ძველად ჰკითხულობდნენ. მიემართოთ ჟორდანიას გრამმატიკას და წავიკითხოთ იქა უნ ბრჯგუიანზე. „სუთ“ კი არ უნდა სთქვან, არამედ „სუთ“ ან „სვთ“-ის მსგავსად. განა ამას დიდი სიბრძნე უნდა. და სხვა ამგვარად.

10) ჩვენ ძმურად ვურჩევთ ყველას. ვისაც კი წმ. ეკლესია და სამშობლო უყვარს, ხელი მიჰყონ საეკლესიო წიგნების შებღალულ ადგილების შესწორებას, კერძოდ: ყველამ იკვლიოს—იძიოს ჭეშმარიტება, რათა შემდეგ კერძო შრომათაგან შეიძლებოდეს გამოკრება ლოდიკურადაცა და სტილიისტიკურადაც უფრო სწორ თქმულებათა, წინადადებათა. სამღვდლოება ამდებანს რომ ყურადღებას არ აქცევდა შეცდომათა, ეს მას არ მიეცემა; ეს მოწიბოს მის გულგრილობას სარწმუნოებისადმი. ოღონდ კი რაღაც წარმოსთქვან ეკლესიაში, ხოლო რა და როგორ, ამისი დარდი არ აქვთ. განა შეიძლება, რომ სასწავლებელში რომელიმე სახელმძღვანელო წიგნში შეცდომები იყოს, და არ გაასწორონ. მით უფრო ეს არ უნდა შეიძლებოდეს წმ. ეკლესიაში. ახლა გავასწოროთ ისე როგორც ვიცით და რაც ცხადია; რომელიც კი სადავოა, იმას თავი დავანებოთ. ხოლო რომელია ცხადი და რომელია სადავო, ეს გამოირკვევა მაშინ, თუ სხვა და სხვა პირები შეიწუხებენ თავს და კერძოდ შეუღებებიან საეკლესიო წიგნების, ძველისა და ახალს, განხილვას. თუ ვიძახეთ: ჩვენ ქართული ენა საფუძვლიანად არ ვიცით და ამიტომ წიგნების სწორებას ხელს ნუ ვკიდებთო, მაშინ წერთაც არეინ არ უნდა დასწეროს რამე, „შინაური საქმეების“ თანამშრომლებმაც კალმები უნდა დაჰყარონ; უნდა უყურონ, თუ როდის განათლდებიან სულის წმიდის მიერ და ქართული ენა ძველი და ახალი ზედმიწევნით ეცოდინებათ. უნდა გვახსოვდეს რომ ყველა თანამედროვე მწერლების მიერ, და კერძოდ „შინაური საქმეების“ თანამშრომლების მიერ, იქმნება ლიტერატურული ენა, იმათის ნაწარმოებებით იკვებება მთელი ახალი

თაობა და ენას ითვისებს. და ენა ხომ დიდი საქმეა. მაშასადამე ნურავინ ნუ სწერს, რაღან არავისზე არ ითქმება, რომ მან ქართული ენა საფუძვლიანად იცის. ამას გარდა, თუ არხიმანდრიტმა ტრიფილემ, რომელმაც 1793 წელსა ქართული კონდაკი სლავიანურ კონდაკის მიხედვით შეასწორა, როგორც ეს ბოლოსიტყვაობიდან სჩანს, რომლის წყალობითა გვაქვს ახლანდელი კონდაკი.—შემამწმა—შეასწორა კონდაკი, რისთვის ახლანდელ ქართველებს არ შეუძლიათ ამავე საქმის გაკეთება? რა საბუთები გვაქვს იმისა, რომ მ. ტრიფილე დიდი ნიჭისა და ცოდნის მექონი იყო, რომ იგი ბერძულსა და ქართულში ფრიად განსწავლული იყო, რომ იგი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა? ან რაც მან გადმოგვცა, იგი რისთვის უნდა ჩაითვალოს ყველა ჩვენ წინაპართა ნაანდერძევათ? რისთვის სხვა კონდაკებს, ხელნაწერებსა და დაბეჭდილებს არ უნდა ვენდოთ, და მათ მიერ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ?

არა, ეძიებდეთ, რათა ჰპოვოთ. განიხილეთ ძველი ნაწერები, ასწორეთ საეკლესიო წიგნები, გარნა ეს ჰქენით კერძოდ, ე. ი. საეკლესიო ხმარებაში ნუ შეიტანთ. შემდეგ კრებამ გადასწყვიტოს, თუ რა იქმნას მიღებულ და რა უარყოფილ. სინოდის მიერ დაარსებული კომისია საეკლესიო წიგნების შესწორებისა და გამოცემისათვის, ამ კომისიას ყველა უნდა დაეხმაროს.

რამპოლლა.

### გარდამოხსნა იესო ქრისტესი

(დიდი აღმოჩენა დღევანდელის მეცნიერებისა, რომელმაც დამტკიცა იესო ქრისტეს გარდამოხსნის სინამდვილე; ეს გარდამოხსნა დაკულია ამ ეჟად იტალიის ქალაქ ტურინს).

ბურგად ლა დარდის მოჰყავს გამოკვლევანი რუსსელ სა, კოლზონისა, ბეკერელისა და სხვათა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ბევრ საგანს აქვს თვისება გაღიბეჭდოს სიბნელეში

თხელ და ნაზ ფირფიტაზე და ამბობს, რომ ეგ თვისება შესაძლოა აქვს ბევრს სხვა საგანსაც, რომელიც ჯერ გამოკვლეული არ არის და რომ ეგ თვისება ფოტოგრაფიულად გადასვლისა სინტეზში ძლიერდება, როცა საგანზედ მოქმედებს სინათლე, ელექტრონი, სითბო და მეტადრე ნაკადი ტესლისა და რენტგენის სხივებისა. ეს კიდევ ცოტაა. ის საგნები და სხეულები, რომელნიც განიცდიან ამ ძალთა ზედ მოქმედებას, იმსკვალებიან მათით და იკრებიან ბლომად დიდის ხნით თითქო შემდეგ უნდა ზოგიერთ დაჰხარჯონო და ამგვარად იძლიერებენ თვის უნარს სხივთა გამოცემისას. ამ მეცნიერის აზრით, ადამიანის სხეულიც ამავე კანონს ექვემდებარება. ცდანი ლუისისა და ბარადესი, რომელნიც ფოტოგრაფიით იღებდნენ ცოცხალ ადამიანის ხელიდან ადენილ ორთქლს და აგრეთვე განმარტებანი ამ საგნისა შესახებ გებარდისა, კოლზონისა, დიუჟარდენისა და ივონისა ცხადად გვიჩვენებს, რომ სითბოს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს. უეჭველად ჰმოქმედობს აგრეთვე ელექტრონი და სინათლე. ლა დარდიმ რადიოგრაფიით გადილო მიცვალებულის გვამი რენტგენის სხივების შემწეობით პარიჟის სამკურნალო სკოლის ბნელს სარდაფში 1899 წელს. გვამმა თვისება თვისის აღბეჭდილობის გადაღებისა ფოტოგრაფიულ შუშებზედ შეიძინა რამდენისამე საათის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მოსპობილ იქმნა ყოველ-გვარი მოქმედება ამ გვამზედ რენტგენის სხივებისა. დარდი შეჰნიშნავს ამასთანავე, რომ ცოცხალი სხეული უფრო სწრაფად ითვისებს რენტგენის სხივებს, ვიდრე გვამი მიცვალებულისა, მხოლოდ გვამი უფრო ხანგრძლივ შეინარჩუნებს ხოლმე თვისებას თვისის აღბეჭდილობის გარდაცემისას. თან ეს აღნაბეჭდი ბევრად უფრო დაწვრილებულის სახეებით გამოდის.

შესაძლებელიაო. — განაგრძობს იგივემსწავლული, — რომ მზის სხივებსაც აქვს ასეთი ძალა. გრგოლი მზისა, როგორც დაამტკიცა დელანდრმა, უშვებს ისეთს სხივებს, რომელიც

შესაძლოა სახეებით დაეადაროთ კატოდურის სხივებს. ცნობილია, მაგალითად, რომ ის ნივთიერება, რომელსაც დაუქარგავს თვისება სხივთა გამოცემისა, კვლად იბრუნეს ამ თვისებას, თუ მზეზედ გამოჰჭინეთ. ეგ ნივთიერება თითქოს ხელახლად იბადება მზის წყალობით. ეს კიდევ ცოტაა. ცეიგერმა მოახერხა და შესანიშნავი ფოტოგრაფიული სურათები გადაიღო ღამე მონ-ბლანისა, ჟენევისა და ჟენევის ტბისა.

ცეიგერი სწერს წერილს ლა დარდის და ამბობს, მე მგონია, რომ მზისაგან სხივების ძლიერს გამოცემას მთელის დღის განმავლობაში შეეძლო მიეცა ამ საგნებისათვის ხანგრძლივი თვისება განათებისა, რომელმაც გასტანა შუალამემდო.

ხოლო თუ ამ ფაქტებს მივიღებთ მხედველობაში და გავიხსენებთ, რომ გვამი ქრისტესი ჯვარცმის დროს რამდენისამე საათის განმავლობაში ექვემდებარებოდა სინათლის ზედმოქმედებას და მზეც შესაძლოა საკმაოდაც უნებდა, რომ ამ ხანგრძლივს სინათლის ზედგავლენით, იგი გვამი მეტად გაიმსქვალა სინათლით, მაშინ, ცხადია, ეს გარემოება მისცემდა ქრისტეს გვამს ძლიერ თვისებას სხივების გამოცემისას, იმდენად ძლიერს, რომ ბნელს საფლავში გადასულიყო მისი გამოსახულობა ზეთისა და ალოით გაქენთილ აღსაბეჭდად მზად მყოფს ტილოზედ.

ამ ზედ მოქმედებას დაერთო გავლენა ამონიაკიალურ ორთქლისა, რაცა ისე კარგად ახსნეს და განმარტეს კოლზონმა და ვინიონმა. სხვათა შორის ამ გავლენის მეოხებით გადავიდა ისე ცხადად და შევნიერად სახე ქრისტესი ტურინის გარდამოხსნაზედ. თუ გვამი ჯვარცმულისა, ამ გარდამოხსნაზედ გარდასულია, მართლა გვამი იყო ქრისტესი, რაც ჩვენ ყოველად და ყოველად სარწმუნოდ მიგვაჩნია, ისიც უეჭველი უნდა იყოს, რომ იგი გვამი მართლა მზეზედ იყო კარგა ხანს. ამას გარდა გვამზედ მოქმედებდა სხვა ძალაც. სახარება გვეუბნევა, რომ საშინელი ელვაქუბილი ასტყდა ქრისტეს სიკვდილის ყაასა, იყო ძვრა ქვეყნისა, საფლავნი აღებენ და

კრეტსაბმელი იგი ტაძრის განიპო ორადლო. მაშასადამე, იესოს გვაშედე უნდა ემოქმედნა ელექტრონსაც, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა მისი სხივთა გამომცემლობა.

ცხადია, მაშ, რა მიზეზით გამოსქვირს ტურიინის გარდამოხსნის გამოსახულებაზედ სხეულ შიგნიდან ძველები. იმ მიზეზით, რომ მზეს უმოქმედნა გვაშედე რენტგენის სხივებით.

შეწყნარება იმ აზრისა, რომ ეგ გარდამოხსნა შუა საუკუნეთა ხელოვანის მხატვრის ნაწარმოებია, ვერ ახსნის ყველა იმ განსაკუთრებულს თვისებას, რომელნიც ჩვენ ასე დაწვრილებით განვმარტეთ. ეგ განსაკუთრებული თვისებანი შედეგია ფიზიკა—ქიმიურის მოქმედებისა; ეგ მოქმედება კი გააჩინა იმ გარემოებათა შეერთებამ, რომელიც ყველაფერში იმ გვარივე იყო, როგორც თან შეუდგა, თანხმად ისტორიისა, ქრისტეს დასაფლავების.

მაშ, ასე: ჩონჩხის მსგავსი სახე ტურიინის გარდამოხსნის გამოსახულების ზედა პირისა იმ მიზეზით წარმოსდგება, რომ სხეულიდან გამოსქვირს ძვლები; ხოლო ეგ გამოქვირვა შესაძლებელია აისხნას მხოლოდ გვამის სხივთა გამომცემლობით. გვამის უჯრუებში მოქმედება იქონიეს არდავის ქსოვილზედ და გვამი აღიბეჭდა ზედ იმ ტილომ. რომელიც გაყენთილი იყო ზეთისა და ალოის ნარევით. ამ სხივთა გამომცემლობამ ამონიკალურ ორთქლის მოქმედებასთან ერთად მოგვცა ის თვისის სინამდვილით ყოვლად საოცარი სახე ქრისტესი, რომელსაც ვხედავთ 19 საუკუნის განმავლობაში უხრწნელად დაცულ ტურიინის გარდამოხსნაზედ.

ოლგა ჯაბადარი.

(დასასრული).

თ. ქაიხოსრო გელოვანს!

„მოდებზე“ რომ გაილაშქრეთ, მე მგონია, არ მოგცემსთ ხელს, ყოველი მხრით მოგაყრან ქვადა გუნდას აურაცხელს.

ყველაზე წინ ვერ აცთებით კნეინების ქვა და კოხებს, გიცვინდება, დეკორტიან, მერმე ვინლა მოგიოხებს?!

„მოდის“ პირველ შეთვისება მათ ედება, ვიცი, ბრალათ, და მათ მერმე სხვა ქალებიც ითვისებდენ ძალის-ძალით.

რა ჰქნან, ყველას მეტად უყვარს, თუ რამ გაჩნდა რამ „მოდები“, მათთვის პრანქვა—საგრებელი, — კაცებისთვის ცეცხლთა მღები.

თავზე ძარი ხომ შნოს აძლევისთ, „კაბლუკები“ მეტ სიმაღლეს, პულრ-კარსეტიც, რომ მოუსპო ამას თქვენ ვინ დაგიმადლებს?!

ევროპიელ ქორწინებას რათ უმტყუნებ ახალ გაზღებს? ახალმოდურ განათლებას ეს სიბილწეც ხომ თან დასდევს?.

ვინც ამგვარი ქორწინებით ერთმეორეს შეეყაროს, ექვს თვეს შიგნით გაიგონებთ რაც კეთილი დაეყაროს.

ახალ-გაზღებს უკიფინებთ: რად დაქარგეს ძველი წესი, ენა, სჯული, ხალხოსნობა მამაპაპის შენათვისი?

რა ქნან, ეს ხომ პროგრესია, ძველი ახალს ანაცვალეს,

ქრისტეს მცნება დიდებული  
მაქსისაზე გადაცვალეს!!.

ვინც ხმა მალდა არ იძახის:  
„გაუმარჯოს პროლეტარებს“,  
ამ გვარ ქვეყნის მოლაღატეს  
ახლოს არვინ ვაიკარებს.

ჰო, ეს დარგი, საპირადო  
სარფაა და გამორჩენა...  
ახალ მოდის წესით, თავის  
მეცნიერათ გამოჩენა...

\* \* \*

თუ რომ „მოდა“ გადავარდა,  
დაუდგებათ ვაქრებს თვალი,  
რაც ქონი აქვთ დაუდნებათ,  
თქვენ გედებათ ამის ბრალი.

ჩემის აზრით ასე ვფიქრობ,  
ცოტა გრჩებათ მალღიერი,  
რადგან მოდას ყველა მისდევს,  
ხუცესი და ერი, ბერი.

ამას ყველა გაგიმტყუნებს  
ჩემო კარგო ქაიხოსრო,  
ვისაც ქეუა თხელი აქვს და  
გამომშრალი თავის კოსრო.

რ. სავაეხოელი.

19 ნოემბერი  
1909 წ.

**შესაძლებელია, რომ თანამედროვე  
განათლების მოაზრე კაცს სწავდეს  
ღვთაება იესო ქრისტასი?**

(რეფერატა უფლებათა კანდიდატის პარფან მ.  
ნიკოლაისა).

(თარგმანი რუსულიდან).

არა მგონია, რომ ჩვენ შორის მოიპო-  
ყებოდეს იმისთანა, მოაზრე კაცი, რომელიც  
რადენომე ხნით მაინც არ გაჩერებულიყოს  
იესო ქრისტეს ნათელი პიროვნების წინაშე.

ერთობ ფრიად შესანიშნავია იგი სიმაღლით და  
სიწმიდით და იმ განუზომელი პირდაპირი და  
უმეტესად—არაპირდაპირი გავლენით, რომე-  
ლიც მან იქონია ერთა კულტურულ განვი-  
თარებაზე უკანასკნელი თვრამეტი საუკუნის  
განმავლობაში.

მაგრამ, ამასთანავე თვითვეული, რომელ-  
საც კი წაუკითხავს სახარება შეგნებულად და  
არა ერთხელვე აჩემებული ანუ მემკვიდრეო-  
ბით მიღებულ შეხედულობათა თვალის საზრი-  
სით, ალბათ გაშტერებულა, როცა შეხედებო-  
და ქრისტეს ცხოვრებაში სრულიად დაუჯერ-  
ებელი შემთხვევანი. მაგალითად, როგორ  
უნდა მოვქცეთ შესახებ მისი ზნებუნებრივი  
შობის აღწერისა, სასწაულთმოქმედებისა და  
მკვდრეთით აღდგომისა, შესახებ მისი ღვთაე-  
ბრიობისა, შესახებ საკითხისა ღვთაების გან-  
ხორციელებაზე მის პიროვნებაში? ეს ეჭვები  
ძალიან ბევრს აწუხებენ.

უნებლიეთ იბადება საკითხი: როგორ  
უნდა მომხდარიყო ეს? ყველანი იბადებიან  
ზნებრივად, სასწაულებს არა შერებიან, კვ-  
დებიან და არა სდგებიან მკვდრეთით. დავი-  
ჯეროთ, ისტორიის საზოგადო წესებში უნდა  
ყოფილიყო ერთი გამონაკლისი? რა შეუძლე-  
ბელია? ბუნებაში ყოველივე ხდება დაწესებულ  
უცვალეებელ კანონების თანახმად. არა გვარ  
სასწაულები და ზნებუნებრივი მოვლენანი არ  
არიან და არც შეიძლება, რომ იყვნენ. მე-  
ცნიერება სასწაულებს არა სცნობს... უფრო  
დასაჯერებელი არ იქნება ვიფიქროთ, რომ  
ქრისტე იყო ისეთივე კაცი, როგორც ჩვენ  
როგორც ჩვენ, მაგრამ უფრო უკეთესი, უი-  
დეალურესი ყველა კაცთაგან და რომ ყველ  
მოთხრობები მის სასწაულებზე და მკვდრეთით  
აღდგომაზე, ერთი სიტყვით, მის ღვთაებრიო-  
ბაზე, მხოლოდ ლეგენდებია, უგვიანესი დროის  
გამოგონილები... ან განა ღირს კი დრო  
დაკარგვა ამ საკითხზე? ხომ გვაქვს ქრისტე  
მოდღერება და განა სულ ერთი არ არი  
ღვთად ვიცნობთ მას თუ მხოლოდ კაცად?

ჩვეულებრივად, განათლებული და ქვიან  
პირებიც კი იმდენად უსაფუძვლონი არიან  
რომ კმაყოფილდებიან ამ გვარი მსჯელობები

და რაოდენიმე ფელეტონური სტატიის ან რენანისებურ მსუ უქ ავტორთა წაკითხვის შემდეგ, სრულიად „გარკვეულად“ და გათავებულად სთვლიან საკითხს ქრისტეს ღვთაებაზე და უარყოფით სწვევებზე ამ საკითხს.

იქნება ამ რეფერატმა ზოგიერთი მაინც დაარწმუნოს, რომ საკითხი „ძე კაცის“ ვინაობაზე უფრო დიდ მნიშვნელოვანია, ვიდრე ათ პირველად ეგონათ და რომ ეს საკითხი თანახმად მეცნიერების ეხლანდელი მდგომარეობისა, მოაზრე კაცთათვის სულაც არ ჩაიფლებია „გათავებულად“.

**შესაძლებელია თუ არა  
სასწაულები?**

ექვი სასწაულების შესახებ განათლებული ქვეყნისგან სრულიად ბუნებრივია. ერთობ ვერჯერ შემცდარა ხალხი და ბევრი რას შეუძლებელი დაუჯერებია. მაგრამ არც იმ ვარგა, რომ მეორე უკიდურესობაში ჩავცვივდეთ და „ზებუნებრივად“, ან შეუძლებლად ჩავვილოთ ყოველივე, ის, რის გაგება ახსნაც არ შეგვიძლიან. „კაცობრიობის უმეტრების სიახაყე, სამართლიანად მხოტს ბიუნენერი, — „სჩანს იმაში, რომ რვენ შეუძლებლად ეთვლით რამეს მიტომ, რომ ის ჩვენ გაუგებრად გვეჩვენება“. გამოცდელი დილექტანტი. ჩვეულებრივად, აჩრებულად წარმოსიქვამს ხოლმე თავისს ცთომელს განჩინებას და დიდი ამბით აცხაებს, რომ ესა თუ ის მოვლენა „შეუძლებელია“; დარბაისელი მეცნიერი კი ამისთანა ემთხვევაში ბევრად ფთხილია. მან იცის, რომ მეცნიერებისგან გამოკვლეულნი მოვლენანი სულ უმნიშვნელონი არიან გამოკვლეველებთან შედარებით და რომ ჩვენ წინდელს დროში მხოლოდ შევეხებით უშმარტი მეცნიერების კიდეს. მას ახსოვს, რომ თვით უსაყოლო მეცნიერებანიც კი აგანან ჯერ დაუმტკიცებელს საფუძველზე. თემათიკა (გეომეტრია) აშენებულია აქსიომებზე, რომლებსაც ღებულობენ „არწმენით“ და რომელთა დამტკიცებაც არ შეიძლება. ფიზიკა რითხოვს ატომების და მოლეკულების რწმენ-

ნას, რომელიც არავის არ უნახავს, ან განა შეიძლება განუყოფელ ერთეულის წარმოდგენა? სინათლეს ჩვენ ვსხნით საქვეყნო ეთერის ტალღების რყევით, მაგრამ არის კი ამ გვარი ეთერი? იქნება ეს მხოლოდ ბედნიერი ჰიპოტეზა! რა არის ელექტრონი არც ეს ვიცით, თუმცა კი შეიძლება, რომ ყოველ დღე ვსარგებლობდეთ მითი.

ჩვეულებრივად ამბობენ ხოლმე, ეგრეთ წოდებულნი ზებუნებრივი მოვლენანი შეუძლებელი არიან, „რადგანაც ისინი არღვევენ ბუნების შეურყვეველ კანონებს“-ო. მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობს როუ, თავის აპოლიგიურს თხუზულებაში, რომელიც მან წაიკითხა ოქსფირდის უნივერსიტეტში, — არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ცნებანი „ძალნი“ ბუნებისა და „კანონი“ ბუნებისა. ბუნების ძალნი, როგორც მიზეზები ბუნების სხვა და სხვა მოვლენისა, განუწყვეტლივ მოქმედობენ ერთსა და იმავე მიმართულებით, — მაგ ძალა მიმზიდველობისა, თუ წინ არ შეხედათ წინააღმდეგი ძალები. ბუნების „კანონები“ კი ეწოდება იმ თანდათანობას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ბუნების მოვლენებში, მაგ. რომ წყალი ცნობილ ტემპერატურაში იყინება, რომ საგნები სითბოსაგან დიდდებიან, სიცივისაგან კი მციორდებიან და სხვა. მაგრამ არის ხოლმე გამონაკლისი იმ გვარ კანონებიდან, რომლებიც საუკუნოდ უცვალეკლად მიაჩნდათ. საკმარია გავიხსენოთ ცვლილება, რომელიც მოახდინა რადის \*) აღმოჩენამ მისი საკვირველი თვისებებით. რანაირი უნდობლობით მოგებურა ბიოველად მეცნიერთა ქაეყანა ამ აღმოჩენის ამბავს? როგორ იშეშებოდნენ სწავლეულები და იღიმებოდნენ ქალბატონ კიურის განცხადებაზე. მაგრამ მაინც აღმოჩნდა რომ საზოგადო კანონიდან — ენერჯიის დახარჯვის შესახებ სამუშაოს გასაკეთებლად — ყოფილა გამონაკლისი და, — თუმცა კი დაუჯერებლად ეჩვენებოდათ თავდაპირველად — გამოცდამ დაარღვია თეორია და ეს თეორიაც შეცვალეს გამოცდის თანახმად.

მაგრამ, განა ჩვენ ყველა ბუნების კანონები ვიცით? განა მეცნიერება არ აღმოაჩენს

ხოლომე სულ ახალ ახალ საკვირველ ძალებს, რომელსაც ჩვენ ში აქნამდე არ ვიცნობდით? ჩვენ ეხლა ვიცით, რომ არსებობენ ძლიერად მოქმედი სხივები თვალისათვის უხილავები და ხმები ყურისთვის უსმენლები და ვლავარაკობთ ზოგიერთ სხელულთა რადიოაქტიულს თვისებაზე, ე. ი. იმგვარ ნივთებზე, რომელთა არსებობაც ჩვენ წინაპრებს ფიქრადაც არ მოსვლიათ. სად არის საზღვარი ამ გვარ აღმოჩენათა? ჩვენ უფრო და უფრო ხშირად აღმოვაჩინებთ ხოლომე იმისთანა ძალებს „შედარებით უმაღლესი რიგისას,“ რომელთა შეოხებითაც ბევრი, პირველი შეხედვით სულ მიუწითომელი მოვლენანი, ადვილად გასაგებნი ხდებიან. დაახლოვებით ასი წლის წინად ერთმა ფრანციელმა მეცნიერმა განაცხადა, რომ მან ისეთი აღმოჩენის კვალს მიაგნო, რომელიც შეაძლებინებს ხალხს ნახევარ საათში შეეკითხნენ ჩინეთში და პასუხიც მიიღონ იქიდან. ის მასხარად აიგდეს და სულელი უწოდეს მას. სრულიად გონივრულად მსჯელობდნენ, რომ თუ შიკრიკი ივლის ცხენით გაუჩერებლივ, უძილოდ, უსვენებლივ დღე და ღამე, ან ხომალდი უცვალებელი ზურგს ქართ ივლის ჩინეთისკენ, მაინც ასეთს შემთხვევაშიც კი მგზავრებს მოუხდება რამდენიმე თვე. სამართლიანად მსჯელობდნენ მაშინდელი დროის მიხედვით; მაგრამ ეს სწავლული ელექტრონის ტელეგრაფის დასაწყისებზე კი მუშაობდა. ელექტრონი არსებობდა ქვეყნაზე, მაგრამ ხალხი არ იცნობდა ამ ძალას ან არ იცოდა მოხმარება მისი. იგივე თქმის ლავარაკის შესაძლებლობაზე ასი ვერსის სიშორებზე ტელეფონის შემწობით ან დაკეტილი ყუთის შინარსის ფოტოგრაფიის გადაღების შესაძლებლობაზე რენტგენის სხივების შესწობით.

შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ ზებუნებრივი ძალები არ არსებობენ,—და ამ აზრით ძალიან მარჯვეა ჰარნაკის შენიშვნა რომ სასწაულები არ არიან, მაგრამ სასწაულებრივი კი ძალიან ბევრია,—მაგრამ ჩვენ ძალიან ხშირად უნდა დავთანხმდეთ ხოლომე, რომ არიან ბევრი ძალები და მიზეზები, ჩვენ-

თვის ჯერ უცნობნი, ასე რომ ჩვენ დიდი სიფთხილით უნდა ვილაპარაკოთ სხვა და სხვა მოვლენათა შესაძლებლობა—შეუძლებლობაზე განა ეს აღმოჩენანი ახალ-ახალ და შედარებით მაღალ ძალებისა ისაზღვრება მარტო ერთ წოდებულ ნივთიერ მოვლენებით? რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობენ „შედარებით მაღალი რიგის“ ძალები ზნეობრივ და სულიერ მოვლენებშიაც? ჩვენ ჯერ საკმარისად სრულად არ ვიცნობთ ყველა ნივთიერს ძალებს—ამოხს ჰარნაკი,—და უფრო ნაკლები ვიცით სულიერ ძალების შესახებ; „ამ საფუძველზე, განერძნს იგი, ჩვენ უწინდელზე უფრო ფრთხილნი გაეხდით ჩვენს მსჯელობაში ძველი წარსულის სასწაულთა შესახებ.

(შემდეგი იქნება).  
ნაკარყანელი

**რას ამოგან უმსანიშნავი აღამიანობი**

**ბაბლიის შესახებ.**  
ი. ჟილფისი.  
(გაგრძელება).

საფრანგეთის აკადემიის წევრი **ლაკორდერი** (1802—1861) სწერს; ბიბლია პირველ მუხლიდან დაწყებული უკანასკნელამდე, სიტყვებიდან: „იქმენი ნათელი“ აპოკალიპსამდე წარმოადგენს თითქო დიდ მშვენიერ ჯაჭვს, ანუ უკეთ ვსთქვათ ნელს და მუდმივს მიმდინარეობას, რომელშიაც თითუული ტალღა სცემს წინამავალს და უწევს იმ ტალღამდე, რომელიც, უკან მისდევს. საუკუნენი, შემთხვევანი, სწავლანი გარდაწუნლნი არიან აქ უთიერთს შუაგულიდან სიმრგვლეძედ და განუწყვეტლად გარდაბმულნი ისე, რომ არ არის მათში არც სიცალიერე და არც აღრევა. სიძველე და სინამდვილე ავრცელებენ აქ

\*) რადი—სხივები, რომლებსაც აქვთ თვისება იმ გვარ ნივთებში გავლა—განათლებისა რომლებსაც მზის სხივი ვერ ანათებს.  
მთარგმნელი,

თანაბარს კეთილსურნელებას. ეს არის წიგნი, რომელიც ყოველდღე გამოაჩინებს თავის თავს, ბუნებრივად იზრდება, როგორც ნაძვი ლიბანისა, — მოწვე ყველაფერის, რასაც იგი მოგვითხრობს — და ყოველთვის ლაპარაკობს მხოლოდ საერთო თვალსაზრისით და სამარადისობის ენით.“

შესანიშნავი ფრანგი პოეტი ლა მარტანი (1790—1869 წ.) ღრმა პატივის მცემელი იყო ბიბლიისა. შესანიშნავია მისი მშვენიერი ალტაცებული დაფასება დავითისა: „ეს ღვთაებრივი მგალობელი (დავითი), სწერს იგი, — ხშირად აღმიძრავდა გულს და აღმიტაცებდა აზრს არასოდეს ადამიანის ძაფს არ გამოუტყია ეგზომ გულითადი, გულს ჩამწვდენი და ძლიერი ხმაწყობილი; არასოდეს პოეტის აზრი არ აფრენილა ასე მაღლა და არც წარმოთქმულა ასე მართლად; ადამიანის სული არასოდეს არ გამოფენილა კაცისა და ღვთის წინაშე ესოდენ ნაზ, მიმზიდველ და გულის ესრეთ აღმძვრელ სიტყვებში და გრძნობებში. ადამიანის გულის ყველა უუსაიდუმლოვსმა კენესამ იპოვა თვისი ხმა და გამოძახილი ამ ადამიანის ბაგესა და ქნარზე. ხოლო თუ კი გადავალთ იმ შორეულ ხანაში, როცა ეს გალობა გაისმოდა დედამიწაზე, თუ გავიხსენებთ, რომ მაშინ ლირიკული პოეზია უკანათლებულეს ერთა უგალობდა მხოლოდ დვინოს, სიყვარულს, სისხლსა და გამარჯვებას, მუხათა და მებრძოლთა ელადის სათამაშოებზე, — არ შეიძლება ღრმად არ გაოცდეს მფევე — წინასწარმეტყველის ხმების წინ. რომელიც ელაპარაკება ღმერთს — შემოქმედს, როგორც მფეგობარი მფეგობარს, — რომელიც ესმის და აქებს მის სასწაულებს, განკვირვებულთა მისი სიმართლის წინ, ვეფერება მის მოწყალებას და, სჩანს, გამოძახილია, წინამსწრობელი სახარების პოეზიისა... წაიკითხეთ პორაციო ანუ პინდარი, რომელიმე ფსალმუნის შემდეგ; ჩემი აზრით ეს თითქმის შეუძლებელია.“

გამოჩენილ ნემეც პოეტს კლოპშტოკს (1724—1803). განთქმული პოემის „მესხია“ — სავტორს, დიდად უყვარდა ბიბლია. გეტე ამბობს, რომ კლოპშტოკი აღიზარდა ბიბლიით;

ბიბლია წყარო იყო მთელი მისი ძალისა; კლოპშტოკი ცხოვრობდა მაშათ-მთავართა და წინასწარმეტყველებთან, როგორც დახლოვებულ ადამიანებთან.“<sup>1)</sup>

უდიდესი ევროპიელი პოეტი და ღრმა მოაზრე გეტე (1749—1832) დიდი თავყანის მცემელი იყო ბიბლიისა. გულწრფელად პატივსცემდა ბიბლიას და სწამდა მისი ღვთაებრიობა.“<sup>2)</sup>

ჯერ კიდევ ბავშობაში გაუჩნდა მას მგზებარე სურვილი საფუძვლიანად გაცნობოდა ბიბლიას, შეესწავლა იგი დედანში და კიდევაც შეისრულა შემდეგ ეს თავისი სურვილი.<sup>3)</sup>

„შევისწავლე ბიბლია. — ამბობს გიოტე თავის ნაწარმოებში „სიმართლე და პოეზია“, — პროტესტანთა სარწმუნოებრივ აღზრდის ჩვეულებისაგან, როგორც იტყვიან, გარდიგარდმო, ნაწილ-ნაწილ და ერთიანად. მკაცრი ბუნებრივობა ძველი ალექსისა და ნაზი სიწრფელე ახლისა მიზიდავდენ განსაკუთრებით. საერთოდ ბიბლია არაფერში ექვს არ მიბადებდა. იმდენად შევეუკავშირდი სულით ამ წიგნს, რომ არ შემეძლო როდისმე ისევ მოვშორებოდი მას. დაცული ვიყავ ბიბლიაზე ყოველგვარ დაცინვისაგან, რადგან ცხადად ვხედავდი ამ გვარ დაცინვის უპატიოსნებას.

ბიბლიაზე თავდასხმა არა თუ მეზიზღებოდა, გულის წყრომასაც იწვევდა ჩემში“... „მე პირადად მიყვარდა და ვაფასებდი ბიბლიას, რადგანაც თითქმის მართოდ მან აღმზარდა ზნეობრივად და მასში მოთხრობილ შემთხვევებმა, სწავლამ, იგავებმა, — ყველაფერმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და ამ თუ იმ სახით იმოქმედა ჩემზე. ამისთვის უსამართლო დამცინავი და აზრის დამამახინჯებელი თავდასხმა ბიბლიაზე ზიზღს იწვევდა ჩემში.“

თავის სხვა თხუზულებებში გენიოსი მწერალი შემდეგ ნაირად ახასიათებს ბიბლიას: „მიზიზღი იმ დიად პატივისცემისა, რომლითაც

<sup>1)</sup> Собрание сочинений Гете. т. X: «поэзия и правда», СПб. 1880 г. ст. 345.

<sup>2)</sup> тамъ же стр. 187

<sup>3)</sup> тамъ же. стр. 99—10 г.

ექცევა ბიბლიას მრავალი ხალხი და თაობა ქვეყნისა ბიბლიის შინაგანი დირსებაა. იგი მხოლოდ უბრალო ხალხური წიგნი არაა, არამედ წიგნი ხალხთა. რადგანაც ერთი ხალხის თავგადასავალს ხდის სიმბოლოდ დანარჩენთა, იწყებს ამ ხალხის ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან და ნივთიერ და სულიერ განვითარების და აუცილებელ და შემთხვევითი მოვლენების აღსავალით მიყავს მარადისობის შორეულ მხარემდე... ეს ნაწარმოები გახდა არა მხოლოდ საყოველთაო წიგნად არამედ ყოველის შემკველ წიგნთ-საცავად ხალხთა და უმჯველად, რავდენად ამაღლდება განათლებით დრო, მით უმეტეს შეუძლიათ არა ზერეულად აღამიანებს, რასაკვირველია, არამედ ქვეშარიტად ბრძენებს ისარგებლონ ამ წიგნით, როგორც აღზრდის საფუძვლითა და საშველებით“.

„მე დარწმუნებული ვარ,—სწერს გეტე Spruche in Prosa-ში,—რომ ბიბლია რავდენად უფრო. ესმისთ, იმდენად შვენიერი ხდება“ „ალტყოიბენებულად უყვარდა და პატივსცემდა შესანიშნავი პოეტი ახალ-აღთქმას და გულს-მოდგინედ სწავლობდა მას“.

„ოთხივე სახარებას, ამბობს იგი, მე ვთვლი სრულებით ნამდვილად, რადგანაც მასში სჩანს ნათელი იმ სიდიადისა, რომელიც გამოდიოდა იესო ქრისტეს პირისაგან და იმდენად ღვთაებური იყო, რავდენად საერთოდ როდისმე გამოჩენილა ღვთაებური დედამიწაზე... დეე სულიერმა კულტურამ სულ წინ იაროს, დეე ბუნების მეცნიერობა იზარდოს ფართოდ და ღრმად და დეე აღამიანის სულმა სისრულისკენ იმდინაროს, რავდენიკ უნდა, მაგრამ ის ვერ აღემატება ქრისტიანობის სიმაღლესა და ზნეობრივ კულტურას, როგორც ეს ბრწყინავს და ანათებს სახარებაში“.

ამ ნაირად გეტე — ეს კოლოსი მსოფლიო მწერლობისა — ასკენის თავის ზნეობრივ დისტორიულ მხედველობათა შინაარსს შემდეგ თვის შორის ხანგრძლივ და დაუღალავ მუშაობისა. ორი წლის წინედ სიკვდილისა შესანიშნავი ინგლისელი ბელეტრისტი ჩარლზ დიკენსი (1812—1870) სწერს ავსტრალიას მი-

მიმავალს თავის შვილს: „შენთვის გამოჩენულ წიგნებში ჩავდევნი სახარება და ეს მაიძულა იმ აზრმა, რომელმაც შემამოკლებია იგი შენთვის, როცა პატარა ყრმა იყავი. იცოდე, ჩემო მეგობარო, რომ ეს უუსრულებელი ყველა ყოფილ ან მყოფად წიგნთა შორის. ის მოგცემს უკეთეს გაკვეთილებს რომლითაც შეუძლია იხელმძღვანელოს, ვისაც სურს იყოს გულწრფელი და ერთგული თავის მოვალეობის აღსრულებაში. ყოველთვის, როცა რომელიმე შენი ძმათაგანი მიემგზავრებოდა, ცხოვრებაში შესული, მე გზას ვულოცავდი მზგავსივე სიტყვებით. ვეხვეწებოდი ხელმძღვანელად ჰქონოდა ეს წიგნი და ყურადღება არ მიექცია აღამიანთა მოსაზრება—მოგონებათათვის შენ გაგახსენდება, რომ მამის სახლში თქვენ არასოდეს არ გაიძულებდენ სარწმუნოებრივ წესრიგის აღსრულებას, გარეგნობის დაცვას მე ყოველთვის იმას ვცდილობდი, რომ არ მომექანცა ჩემი შვილების გონება ისეთი რამით, რის მნიშვნელობას ჯერ ისინი ვერ გაიგებდენ, და ამისათვის მიხვდები, თუ რისთვის მსურს მე ახლა, რომ შენ გქონდეს ჩემგვარი რწმენა ქრისტიანულ სარწმუნოების ქვეშარიტებისა და შვენიერებისა. ეს ქვეშარიტება და შვენიერება გამომდინარეობს თვით ქრისტესგან და თუ შენ შეუღვები მას გულწრფელად და სიმდაბლით, ყოველთვის ასცდები ცუდ გზას. კიდევ ერთი სიტყვა ამის შესახებ— არ მოიტოვო არასოდეს შენი ჩვეულება დილას და საღამოს ლოცვისა; მე თვითონ არასოდეს არ დამიტოვებია იგი, და ვციროგორ ნუგეშს ვღებულობდი ამისგან“.

ერთი ახალგაზდა ინგლისელი სტუდენტი ოქსფორდიდან შინ ბრუნდებოდა. უნდოდა სწავლისგან თავისუფალი დრო თავის ოჯახში გაეტარებია. რკინის გზაზე მას მოგზაური შეხვდა და ერთმანეთს შორის ბაასი გააბეს. ლაპარაკობდენ მწერლობაზე, სხვათა შორის, პოეზიაზე. როცა ახალგაზდა სტუდენტი სადგურს მივიდა, სადაც უნდა ჩამომხტარიყო და გასაფლისკენ გაემგზავრა, უცნობმა ამხანაგმგზავრმა მოკიდა ხელი, გააჩერა ერთის წამით და უთხრა: „ახალგაზდავ, კიდევ ერთს რჩევას

მოგვით: იკითხეთ ყოველ დღე ბიბლიიდან და შექსპირიდან თითო მუხლი მაინც. ბიბლია გასწავლისთ, როგორ უნდა იბაასო ღმერთთან, შექსპირი კი—როგორ ილაპარაკო ადამიანთან! სტუდენტმა მხოლოდ შემდეგ გაიგო, რომ ეს მისი თანამობაზე ტენნისონი იყო, შესანიშნავი პოეტი.

გამოჩენილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი გიზო (1787—1874 წ.) სწერს: „ბიბლიის სიტყვები აკმაყოფილებს ყოველნაირ კეთეს, როგორც დიდად განვითარებულს, ისე მცირედ განვითარებულსაც, როგორც უმახვილესი, ისე უმარტივესსაც. ეზავება ყველა ადამიანის სულიერ მდგომარეობას; მარად ქეშმარიტია, რადგანაც მიმართულია ჩვენი ბუნების ნამდვილი არსებისადმი.“<sup>4)</sup>

ცნობილი ინგლისელი მწერალი სმაილსი (დაიბ. 1816) ამბობს: „ყველა ბიოგრაფიაზე მალა სდგას დიადი ბიოგრაფია—წიგნი წიგნთა. მართლა, რას შეიცავს ბიბლია,—ეს უუსაღრმთოესი და უდიდმშვენიერესი წიგნი, ეს აღმზრდელი ახალგაზდობისა, გზის მაჩვენებელი სიმწიფისა და მანუგეშებელი სიბერისა,—თუ არა მთელს წყებას ბიოგრაფიათა წმინდა კაცებისა, პატრიარხებისა, ძეფეთა და მსაჯულთა. ეს წყება ბიოგრაფიათა თავდება უმაღლესთა უმაღლესი ბიოგრაფიით, ახალ აღთქმაში აღწერილი ცხოვრებით. რა ბევრი მოიმოქმედეს ადამიანის სასარგებლოდ ამ წიგნში წარმოდგენილმა მაგალითებმა! მრავალმა ადამიანმა ამოიღო ამ წიგნიდან თვისი უკეთესი ძალა, თვისი უმაღლესი სიბრძნე; რაოდენათვის იყო იგი საუკეთესო სულიერ წყაროდ და საუკეთესო მოძღვრება!.“<sup>5)</sup>

საუცხოვო, შვენიერი სიტყვები გვესმის ბიბლიის შესახებ საფრანგეთის აკადემიის წევრის, ნიკიერი პოეტის ფრანსუა კოპპესგან (დაიბ. 1842 წ.).

თავის ერთ თავგადასავალისაგან იგი სწერს; „ერთხელ ვიგრძენი საკუთარ შუბლზე

<sup>4)</sup> Религиозно-философская библиотека, вып XII что такое библия? стр. 23.

<sup>5)</sup> С. Смайльс. характеръ.

ფშვინვა სიკვდილისა და აი ჩემს სულში გაიღვიძა საიქაო განჯის = შიშმა და საუკუნო ცხოვრების წყურვილმა. ავიღე ხელში ბიბლია, დავუწყე კითხვა ისე, როგორც ჯერ არს მისი წაკითხვა,—მარტივი მორწმუნე გულით. და აი დავინახე დიადი წიგნის თითოეულ გვერდზე, თითქმის თითოეულ სიტყვაში სამარადისო ქეშმარიტება მისი ბრწყინვალეობით. ახლა მტკიცედ მწამს ყველა მასში აწერილი სასწაული, რომელსაც მახარებლები ასწერენ ისე დაწვრილებით და დარწმუნებით, რომ აქედან სრულის სიცხადით სჩანს მათი სრული სიწრფელე და სინამდვილე, დიად, ქრისტე.

ქეშმარიტად უბრუნებდა ყრუს სმენას, ბრძას მხედველობას; განრღვეულს მოძრაობას მკვდრებს სიცოცხლეს მე ისევ ვიწამე ქრისტე და მინდა შევინახო ეს რწმენა ჩემს გულში. საცოდავო ადამიანო, ნუ უსმენ მათ, ვინც ამბობს, რომ სარწმუნოება მკვდარია! გახსენი ბიბლია, მიდი ჯვართან. იესოსთან—მაშინ იპოვნი სულის განსვენებას! <sup>6)</sup>

(შემდეგი იქნება).

ანოფრე მწირი.

## ჩვენი მიწა-წყლის გაყიდვის გამო.

ამ ბოლთ დროს ქართულმა ეურნალ-გაზეთებმა ძალიან მოუხშირეს გულ დამწყვეტ და ვარმით მავნებელ წერილების ბეჭვდას. დღე ისე არ გავა, რომ არ წავიკითხოთ: გორის მაზრაში მავანი და მავანი თავადი გაჭრიგებია მიჰყიდოს უცხოელებს 1500 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, დუშეთის მაზრაში გერმანელებს შეუძენიათ ამა და ამ ქართველი მემამულესაგან 8000 დესეტინა, ქიზიყელ მემამულეებს გაუსაღებიათ უცხოელებზე 12000 დესეტინა, ბორჩალოს მაზრაში, ქართული თავადიშვილისაგან გაყიდულ მიწაზე, ოსმალითიდან გადმოსახლებულა ათასი კომლი სომეხი და სხვა ამგვარები. კითხულობ ამ ამბებს და ვერ

<sup>6)</sup> Воскресный благовѣсть 1907 г. № 7, стр. 32.

მიხედობა, ვერ გაგივია ეს რა უბედურობა, რა ღვთის რისხვა დაგვემტვრა თავს, საიდან გამოტყვერენ ეს მადა გაღვიძებული, გაუკითხავი, დაუნდობელი და ჯალათი ვადამთიელები, რომ ხელიდან გვტაცებენ ჩვენი სისხლითა და ოფლით გაყენთილ მიწას და გვტოვებენ უნიადაგოდ, უმიწა-წყლოდ, უსახლ-კაროდ!.. თავით ის გვიხუთავდა სულს, რომ ჩვენი სამშობლოს თვალი:— ბორჯომის ხეობა, მუხრანის ველი, შილდანაფარეულ-ყვარელი და სხვები უცხოელების ლუკმას შეადგენდა და ახლა თუ თავადების მამულე-ბიცი ხელიდან წაგვივიდა, მშვიდობით ქართლო და კახეთო, მშვიდობით მთლათ საქართველო! უმიწა-წყლოთ ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია; უმიწა-წყლოთ ჩვენს არსებობას ძირი გამოეთხრება და სულ ახლო მომავალში გავწყალდებით, გავნადგურდებით, გავქრებით დედა მიწის პირიდან.

ღიად, არსებობენ ქვეყანაზე უმიწა-წყლო ერები—ებრაელები, სომხები, თათრის ბოშები და სხვები, მაგრამ ჩვენთვის ეს არაფერ სანუგეშო და გულის გასამაგრებელ მაგალითს არ შეადგენს.

თუ ისტორიულმა პირობებმა ებრაელებს ძველადგანვე ხელი ააღებინეს საკუთარ ტერიტორიაზე, სამაგიეროდ ამ პირობებში ხანგრძლივმა ტრიალმა და ვარჯიშობამ ისე გამოჯეჯკა, ისე გააფოლადა ივინი, რომ უმაღლეს ხარისხამდე განუვითარა მათ ოქროს შეძენის უნარი და დღეს მსოფლიო კაპიტალიზმის სამფლობელოში ურიებს უწარჩინებულესი ალიაგი უკაფიათ და განა ეს პატარა მნიშვნელობის გარემოება! ესევე უნდა ვთქვათ სომხების შესახებაც იმ დამატებით, რომ დღეს სომხის კაპიტალისტები დიდ მეცადინობას ეწევიან ტერიტორიის შეძენისათვის. როგორ გამოიკვალოს ეხლა ქართველმა საუკუნოებით დამუშავებული საკუთარი ფსიხიკა, როგორ შეეღიოს მიწის მოქმედების საქმეს და რაფრათ მოიპოვოს სომხებისა და ებრაელების განსაკუთრებული სულის თვისებანი? თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ერის სულიერი განვითარება ანუ ევოლიუცია სწარმოებს ყოველთვის

მეტისმეტე ხანგრძლივი თანდათანობით და ამასთან ერთად თუ არც იმ კონკურენციის დავივიწყებთ, რომელიც აუცილებლად უნდა განიცადოს ახალ სამოქმედო გზაზე დამდგარმა ქართველობამ, ყველა დავეთანხმება, რომ ეხლანდელი ქართველი ერისთვის შეუძლებელია ებრაელებისა და სომხებისაგან ისტორიულად გავვლილი ცხოვრების გამეორება, რომ სულ ფუჭი და ამაო იქნება ამაზე ფიქრი და მეცადინობა.

თავი დაფანებოთ ებრაელებს და სომხებს. მიწა-წყლის დაკარგვით ქართველი ერი უკულტურო და და განათლებას მოკლებულ თათრის ბოშებთანაც უბედური წყალ წაღებული და დაღუპული შეიქნება. ეს ბოშები ისტორიულ გარემოებათა გამო შესთვისებიან თავიანთ დღევანდელ მდგომარეობას—მიწა-წყალბა—მათხოვრობას, ქართველი კი, რომელიც ყოველთვის მიწის მწარმოებელი ყოფილა, რომელსაც ყოველთვის თავი უჩრჩნია პატრიოსანი შრომა გამსჯელობით, რომ მოკლათ, ტყავი რომ გააძროთ, თავს არ დაიმდაბლეს, კარდაკარ მატანტალა მათხოვრობამდინ. დღესაც, გაქირავებაში ჩავარდნილი პატრიოსანი სოფლის ქართველი, თუ შრომით ვერ გაიკვლია მან გზა, მათხოვრობას ხშირათ ისევე თავის ჩამოხრჩობას, კლდეზე გადაჩეხას და მდინარეში გადავარდნას ამჯობინებს ხოლმე.

არა, მიწა ატმოსფეროა ქართველი კაცისათვის, საკუთარი სისხლით და ოფლით მორწყულ მიწას ქართველი ღებულობდა ხოლმე წმ. ზიარებად, უბედური გარემოების გამო სამშობლოდან გაძევებული ქართველი, ყველაფერს სტოვებს, ყველაფერს სთმობს და ეღვევა გარდა სამშობლოს მიწისა, რომელსაც, მსგავსად სათაყვანო წმ. ნაწილებისა, არც დღე და არც ღამე თავიდან არ იშორებს. ამ მხრივ ფას დაუდებელია რ. ერისთვის ცნობილი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“. აქ საოკარი სინამდვილითაა დაბატული შინაგანი, ორიგინალური განწყობილება მიწისა და ქართველი კაცის ბუნების შორის, ქართველის უზენაესი მიზიდულება მიწისადმი. ტყუილად

ნურაინ ნუ გვეტყვის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პოეტურ ნამოქმედართან და არა რეალურ სინამდვილესთან, რომ პოეტმა იფიქტის მოსახდენათ საგანი გაალამაზა სქელი წამლები იხმარა, და არა ტიტველა სინამდვილე დაგვიხატაო. არა, „სამშობლო ხევსურისა“ სწორეთ იმითია მომხიბლავი და მკითხველ გამგონის გულის დამატყვევებელი, რომ იგი უტყუარი პირია სინამდვილისა, რომ იგი ნამდვილი გადმოცემია ხალხის გულის პასუხისა. მოყვანილ ლექსში მწერალს ვარდა სიტყვებისა არა ეკუთვნის რა, თუ სიმართლე გნებავთ, სიტყვებშიაც ის უფრო ფონოგრაფია, ვიდრე დამოუკიდებელი მოქმედი.

ახლა თქვენა ბძანეთ, განა იმ ერს, რომელსაც ამდენად შეუთვისებია, ამ ზომამდე შეუტკბია და შეუსისხლხორცებია სამშობლო მიწის ერთგულება, რომელსაც სამშობლოს მტვერი გულზე სატარებელ წმ. ნაწილად დაუსახავს, შეუძლია, რომ შეურიგდეს, მოინელოს და გადაიტანოს ამ მიწის ხელიდან გამოცლა, ამ მიწაზე უცხოეთის დასახლება და გაბატონება? განა წარმოსადგენია, რომ ერმა შეიძლოს დათმობა და დავიწყება იმისი, რის ტრფიალითაც მას უცხოვრია მრავალი საუკუნოების განმავლობაში, რის შერჩენაც მას დაუსახავს თავისი სიცოცხლის უპირველეს საგნად, რისი სიყვარულიც შექმნილია მისთვის ნამდვილ ბუნებად? არა, ამისთანა რამეს დაკარგვა, ამისთანა რამეს ხელიდან წაგლეჯა თანაბარია ერის განუყოფელი ორგანიზმის გაღლეჯისა, ერის ცოცხალი სხეულის შუაზე გაპობისა, ერის არსებობისათვის უსაქიროეს პირობათა მოსპობისა. ჩვენ ერთ წამსაც არ უნდა გვქონდეს ეჭვი, რომ ტერიტორიის დაკარგვა ქართველისათვის რჩება მისი უცილობელი სიკვდილი, მოსპობა, ვაქრობა, ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა და ამოვარდნა.

მერე ვისი დახმარებით, ვისი ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს ჩვენში ასეთი უბედურობა? ვინ უნდა გამოსკრას ქართველ ერს ყელი, ვინ უნდა იკისროს ქართველობის განადგურების უბედური მოციქულობა? ჩვენ

ბურმა მემამულეებმა, ე. ი. ალ. ყაზბეგისა, რ. ერისთავისა, ი. ქავჭავაძისაძმებმა, ბიძებმა, შვილებმა და შვილისშვილებმა?! ღმერთმა ნურასოდეს ნუ მიგვიყვანოს ამ გვარ დასკვნამდე. ჩვენი შეხედულობით, ჩვენი თავად-აზნაურობა იმავე ქართველი ერის სისხლი და ხორცია, ჩვენი თავად-აზნაურობა ქართველი გლეხის ქალის ძეძუთი გაზრდილია და, ესაც რომ არ იყოს, იგი ჩვენდროს ამდენად ქვეა-განვითარებულია, იმდენად შეგნებულია, რომ თითონ მაინც არ გასჭედს თავის ყელ გამოსაჭრელ დანას და არაფრის გულისათვის მათდამი კუთვნილ მიწა-წყალს არ ჩაუგდებს ხელში უცხოელებს. საჭიროა მხოლოდ, რომ მოისპოს ის განხეთქილება, რომელიც უგნური პირებისაგან ითესება მემამულეთა და მიწის მწარმოებელთა შორის, მოისპოს ის მავნე რწმენა, რომელიც კლასთა ბრძოლის სახელით მონათლეს და მიწის მოქმედებსა უნერგავს შემცდარ აზრს, რომ მათ მორიგებითა და სცილდით კი არა, ძალდატანებთ უნდა აიძულონ მემამულენი მიწაზე ხელის აღებას. სანამ ეს ყაჩაღური ქადაგება დავიწყებას არ მიეცემა, ძნელია, რომ ქართველი მემამულე და გლეხი ერთმანეთს დაუახლოვდნენ და ამის გამო, ცხადია, ვერც გლეხთა მიერ მიწის შექმნის საქმე დადგება სისურველ ნიადაგზე.


მით უფრო სასიამოვნოა, რომ ბოლო ხანებში ქართულმა პრესამ ერთხმათ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ ამ გარემოებას, იგი ჰგმობს ამ მავნე ქადაგებას და აფრთხილებს სოფლის მემკვიდრებას, რომ შეკლდნენ არ შევიდნენ, არ დაემდნენ მიწის მუქდად შოვნაზე.

ყველა ეროვნულ საქმეში ქართულ სამღვდელოებას თავისი ხვედრი წილი უდევს. ამ შემთხვევაშიაც იგი მარტო გარეშე მაყურებელად ვერ დარჩება. სამღვდელოებამ თავისი წრფელი აზრიანი, მუყაითი და მხურვალე ქადაგებით უნდა დაანახოს სოფელელებს, ვის რჩება დღეს ჩვენი მიწა-წყალი და რა განსაკუდელი დაგვატყდება თავს. თუ ეხლავე არ გამოვიჩინეთ გონიერება, ეხლავე წლებზე ფეხი არ დავიდვით ყოველივე ღონისძიება არ მოვი-

ხმარეთ, ვველის ხერხეში არ გაეძვეროთ და მემამულეებთა მორიგებით არ შევიძინეთ მათი მიწა-წყალი, მათი ტყე და ველი. მეორე მხრით ქართული სამღვდლოება მოვალეა დარწმუნის ქართველი მემამულეები მაშინ, რომ მათი მამული მოუპოვა, შეუნახა. გაუკეთა, გაუნაყოფიერა და ღირებულობა შესძინა ქართველმა მიწის მოქმედმა, ქართველმა სოფლის მეციღრმა, ქართველმა გლეხმა. და თუ დღეს ვისმეს უნარი აქვს ამ მიწის შესყიდვისა, ეს არის მარტოდ და მხოლოდ ქართველი გლეხის უპრიანი, რადგანაც მას კოკობით ჩაუღვრია ამ მიწაში საკუთარი სისხლი და ოფლი. სამღვდლოებამ უნდა დანახოს მემამულეებს, რომ უგლებებოთ ისინი თავს ვერ გაიტანენ ვერც ლხინში და ვერც კირში, ამიტომ მათთვისაც და მათი ჩამომავლობისთვისაც უმჯობესი იქნება, რომ მიწის ფასად ქართველი გლეხის გროში ამჯობინონ უცხოელთა თუმნებს და მიწა ყოველ შემთხვევაში ქართველს გადასცენ.

ეს საქმე მეტად დიდძალი შეწველოვანია, მისი სასურველად დაყენება დიდს გაკვირებას და წინადახედულობას მოითხოვს. იმედია სოფლის შეგნებული და ცხოვრებაში ჩახედული სამღვდლოება ხალხით მიეგებება ამ საშვილი. შეიღო საქმეს და მოკლე დროში ბეჭვლით სიტყვის საშვილებით გამოსთქვამს თავის აზრს, თუ რა გზას და საშვილებას უნდა დაეადვენ რომ ქართული მიწა მიწის მოქმედი ქართველის ხელშივე დარჩეს.

დიმიტრას მაიდაშვილი.



### კვირილამ კვიროჯამდე.

10 ნოემბერს მის ყოვლიდ უსამღვდლოესობას აღიყვრდის ეპისკოპოს დაეთს უკურთხებში განახლებული კარის ეკლესია უკანასკნელი მეთის გიორგი მეკამეტისა. დიდი პატივის და მადლობის ღირსია, ვინც ამ ეკლესიის განახლება ითავა. ასეთი განძი რომ სხვა ხალხს შეიძინდეს, ჩარდახებში შეინახავს, როგორც მაგ. პეტრე დიდის სახლი. მაგრამ სენი ხალხი არ დახადებული ამისთვის. იბი-

ლისის მოწინავე სამღვდლოების და საერო პირების საქციელიც გვაკვირვებს. სად იყვნენ აქამდის? სამწუხაროა ის გარემოებაც, რომ ყოფილი სამეფო სახლი ვილაც სომხის ხელშია. დაწვრილებით შემდეგ.

17 ნოემბერს ღირსი ნიკონ ჩადონტე-ლის ხსენების დღეს ყოვლია სამღვდლო გრიგოლმა, ბაქოს ეპისკოპოსმა არქიელის ეკლესიაში გადიხალა წირვა და პანაშვიდი განსვენებული ექსარხოსის ნიკონის სულის საოხად, რადგანაც ეს დღე იყო განსვენებულის სახელწოდების დღე. პანაშვიდზე ყოვლიდ სამღვდლო დაეთიც შეიმოსა; დაესწრნენ გუბერნატორი მეუღლით, ქალაქის თავის მოადგილე, ბ. ოსეკი, კანტარის და კანტე-ლარის მოხელენი; ხალხიც იყო—განსვენებულის პატივის მცემლნი. გუბერნატორის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ყველა მღვდლები თბილისის ეკლესიებისა ყოფილიყვენ პანაშვიდზე. იყო კიდევ მომეტებული წაწილი ქართველი სამღვდლოებისა; თბილისის რუსულ ეკლესიებისგან კი მხოლოდ ერთადერთი მღვდელი მ. ლოზოვი დაესწრა...

შარშანდე სესიაში სახელმწიფო სათათბრომ გამოსთქვა სურვილი, რომ საბადალინო, სოფლო და სეპარქიო კრებებზე, როცა კარჩევა ხოლმე ეკლესიის-სამღვდლო სათათბრო სტაროსტებამ ვაიღონ მონაწილეობა. ეს სურვილი სათათბროსი გუწო უწმინდეს სინოდს. სინოდმა მისთხოვა ეპარქიის მღვდელთმთავრებს მათი აზრი ამ საკითხის შესახებ. — რადგანდ სასურველია და სასარგებლოა, რომ ეკლესიის სტაროსტებმა ვაიღონ მონაწილეობა სამღვდლოების სოფლო, საბადალინო და სეპარქიო კრებებზე და როგორ უნდა მოეწეოს ეს საქმეა სინოდს უკვე მიხვდა მღვდელთმთავრების მხრეზე. მომეტებულს უმრავლესობას რუსეთის ეკლესიის მღვდელთმთავართა სასარგებლო და სასურველად უკნაათ სტაროსტებს მონაწილეობა ხოლო უმნიშვნელო უმრავლესობის ადგილობრივ მართბათ მხრედათ არ უკნაათ ეს სასურველი; ზოგჯერთ მღვდელთმთავრებს კიდევ ხანადის ამ ბრძანებზე შეუფა სტაროსტებისთვის კრებებზე



დასწრების ნება. სინოდს მიუღია აზრი უმრავლესობისა და სასურველ-სასარგებლოდ უცნობის სტაროსტების მონაწილეობა; ესეა სინოდის ბრძანებით, უველა ეპარქიაში საბლაღოჩინო, სალქო და საენარქია კრებებზე უნდა მიადონ მონაწილეობა ეპკლესიის სტაროსტებს სრული გადაწყვეტი ხმის უფლებით, როცა ამ კრებებზე გაიჩნება საეკლესიო-სამეურნეო საქმეები და საკითხები. თათო საბლაღოჩინო ოლქიდან კრებებზე უნდა დაინიშნოს თათო სტაროსტა, რომელსაც სტაროსტებივე ირჩევენ. იმ მდგომარეობაში, რომელშიც არა სცნეს სასურველად მონაწილეობა სტაროსტებისა კრებებზე, სინოდი უბრძანებს ეკლესიას დაწინაურებით განიხილოს ეს საკითხი და თავისი მისაზრებანი წარუდგინოს სინოდს.

სინ. კანტონში მოქალაქე ახალ პროკურორს ანდრეევს; ამბობენ, რომ ანდრეევს ჯამაგირს მომეტებულს აძლევდნენ, ვიდრე აქამდე ჰქონდათ პროკურატორისა. უკვეაღია, პროკურორის დანიშვნას ექსპრესიის დანიშვნაც მიჰყვება.

როგორც ვაჭრები იმევენ, ჩხეიძის სეული დომის მამული ესლანდელ მეზატრინეს ბ. ი. გველეხიანის განუძრავს მიაჭიდოს რუსეთიდან გადმოსახლებულ რუს გლეხებს, რაზედაც მოლაზარაკებს უბრალო გაუთავებია. სწორედ რომ სამწუხარო ამბავია. დამის მთელი საქართველო უცხოეთელმა ახალშენებმა დაიჭირეს. ....

# პროვინცია.

სოფ. რიხი. ამ სოფლის მდგომარეობა ტარსი უბანეიშვილმა მაგალითით დაგვიტყვიან, თუ რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია მდგომარეობის სოფელში, თუ ეს მის სურვილი აქვს რაიმე სარგებლობა მოუტანოს მრევლს. მაგ., მან თავის მრევლს განიხილა დააგენია და შემოიღო სახალდეზო სწავლება. უოველი ღელ-მის, ვადლებულია სასწავლო ქასკში მისეღას დრას თავისი შვილი

ადგილობრივ სკოლაში მისცეს, ხოლო წინააღმდეგობა მხარე დაჯარიმებული რება რამდენიმე მანეთით სკოლისვე სასარგებლოდ. ამის წყალობით ადგილობრივ სკოლაში 80-ამდე მოწაფეა, ბევრს უარა უოხრეს უადგილობის გამო. ესევე მდგომარეობა დინებულისა მამავალი წლისთვის უკეთუ მთავრობა სელს მოუწოდებს გადაკეთოს თავისი სკოლა ორკლასიანად. ამავე მდგომარეობაშია ამ ორი წლის წინათ მდგ. რაუდენ ხუნდაძე, რომელმაც თორმეტ კაცს შეასწავლა წიგნის წესი გალობით, აგრეთვე ცდილობს მოიწვიოს კარგი ლატინარი და გააწეოს კარგი წეობილი იმერული გალობა. ამავე მდგომარეობაშია თავისავე მრევლში გასსსა ქალთა კურს-კურსის სკოლა, ერთი სიტყვით დაუღალავათ შრომობს თავისი მრევლას განხორციელად და ხნობრივად განიითარებისათვის. მდგ. ტ. უბანეილი ჯერ ახალგაზდა კაცია და იმედი გვაქვს მომავალში კიდევ გააგრძელებულს ენერგიით შეუდგება მიერეუბულის სოფლის განხორციელად და ხნობრივად ამაღლებას. ბოლოს ვუსურვებთ მდგ. ტარსის ჯან-მრთელ სიცოცხლეს და გასურვებთ რომ ამისთანა მამაბი ბევრი აღმოგვიჩინდეს ჩვენდა საკეთილდღეოდ.

დ. ფ—ლი.

ირედაქტორი, მოვლელი სიმონ მგებლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

◆◆ **სტამბა** ◆◆

იმერეთის წმ. გიორგის ხარწ.-განმანათ.

**„მეობრის“**

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშვილის სახლში, ვუბრუნატ. კანცელარიის ქვეშ

ღებულბის ყოველგვარ სასტამბო საქმეებს

— სელ-მისწილმ დასკობა —

ასრულებს სუფთად და თავის დროზე.